ჩინეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში

ავტორები:

ვახტანგ ჭარაია
ოთარ ანგურიძე
შოთა გულბანი
ლუკა კურდღელია
მარიამ ლაშხი
დათა შატაკიშვილი

თბილისი 2020

შესავალი

საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 9 ივნისს დამყარდა. ის იყო ერთერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და გახსნა საელჩო საქართველოში, რამაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის სწრაფად დამყარებულიყო ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობები. ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა ჩინური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა, მშენებლობა, უძრავი ქონება, საბანკო სექტორი და სხვა. პერიოდულად ჩინეთის მთავრობის მიერ ხორციელდება საქართველოს მიმართ ფინანსური მხარდაჭერა, რამაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან - დღემდე ჯამში 65 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ქართულ-ჩინური ეკონომიკური ურთიერთობები მზარდი დინამიკით ხასიათდება, ყოველწლიურად იზრდება ქართული პროდუქტის ექსპორტი ჩინეთში. სწორედ ამ ურთიერთობის გაღრმავებისაკენ წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც 2017 წლის 13 მაისს შევიდა ძალაში (მოლაპარაკებები 2015 წლის სექტემბერში დაიწყო), ჩინეთის 1,4 მილიარდიან ბაზარზე ექსპორტირებული ქართული პროდუქციისა და მომსახურების 94% (მცირედი გამონაკლისების გარდა) საბაჟო მოსაკრებლით არ დაიბეგრება და ისაეგებლებს 0 პროცენტიანი ტარიფით. ეს შეთანხმება ჩინეთის მთავრობის ახალი გლობალური პოლიტიკის ნაწილია, რომელიც "ერთი სარტყელი, ერთი გზის" ინიციატივის ფარგლებში იქნა მიღებული.

"ერთი სარტყელი, ერთი გზის" ფარგლებში ჩინეთი აპირებს, რომ ამ ინიციატივაში მონაწილე 65 ქვეყენასთან გააფორმოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი; 12 ქვეყანასთან კი უკვე აქვს შეთანხმება გაფორმებული. აღნიშნულმა შეთანხმებამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირები თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა. ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საქართველო გახდა მე-11 ქვეყანა, რომელთანაც ჩინეთს აქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, თუმცა ამჟამად ამ ქვეყანათა რიცხვი 16-ს შეადგენს. (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების

ასოციაციის ქვეყნები, ე.წ. ASEAN, სინგაპური, პაკისტანი, ახალი ზელანდია, ჩილე, პერუ, კოსტა რიკა, ისლანდია, შვეიცარია, მალდივები, საქართველო, ჰონგ- კონგი, მაკაო, ტაივანი, კორეა და ავსტრალია).

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ნიშნავს ქართული პროდუქციისა და მომსახურების წვდომას მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე. აღნიშნული შეთანხმების შემდეგ, საქართველო რეგიონში გახდა პირველი და მსოფლიოში ერთ- ერთი გამონაკლისი ქვეყანა, რომელსაც აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთთან. შეთანხმება იქნება ორმხრივად მომგებიანი, არა მხოლოდ ექსპორტის თვალსაზრისით, არამედ საინვესტიციო კუთხითაც. ეს კი ნიშნავს მეტი ჩინური ინვესტიციის შემოდინებას საქართველოში, იმ სავაჭრო შეთანხმებების, ბიზნესის სიმარტივისა და ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გამოყენებას, რაც ქვეყანას გააჩნია და ამავდროულად გულისხმობს პირდაპირ თუ ირიბად საქართველოში ჩინური გამოცდილების გაზიარებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის ათვისებას, რაც საქართველოსთვის ერთიორად მომგებიანია.

იმისათვის, რომ არსებული პოტენციალი მაქსიმალურად იქნეს ათვისებული საქართველოს მხრიდან უნდა იქნეს გამოყენებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სხვადასხვა თემატიკის საგამოფენო რესურსები. მათ შორის, ROUD SHOW, ტურისტული და ინდუსტრიეული გამოფენები, ბიზნეს ფორუმები და სხვა.

ძველი და ახალი აბრეშუმის გზა

ქართულ - ჩინური სატრანსპორტო და ეკონომიკური კავშირები ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ. II საუკუნიდან იღებს დასაბამს; რა დროიდან მოყოლებულიც, საქართველო აბრეშუმის გზის ერთ-ერთ მიმართულებად გვევლინება. ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა საქართველოს გავლით ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებთან აკავშირებდა, ასევე ევროპის ქვეყნებთან და ახლო აღმოსავლეთთან. მართალია საქართველო არ ყოფილა დიდი აბრეშუმის გზის ძირითადი მარშრუტი, თუმცა ის პერიოდულად გამოიყენებოდა ერთ-ერთი ალტერნატიულ გზად. ქვეყნის ტერიტორიაზე ტვირთის გამტარიანობის საკითხი დამოკიდებული იყო როგორც შიდა, ასევე გარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. საქართველოზე ასევე გადიოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავშირებისათვის გამოიყენებოდა.

2013 წელს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა წარმოადგინა „ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა", რომელიც არის „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელისა" და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის" შემოკლებული სახელწოდება და აღნიშნულმა ინიციატივამ მოიპოვა 150-ზე მეტი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. იგი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ვაჭრობას ბარიერების გარეშე, ერთობლივ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ფინანსურ ინტეგრაციას, პოლიტიკურ კოორდინაციასა და ხალხთაშორისი კავშირების გაძლიერებას. "ახალი აბრეშუმის გზის - ეკონომიკური სარტყელის" პროექტის განვითარების ხელშესაწყობად შექმნილია აბრეშუმის გზის ფონდი, რომლის საწყისი კაპიტალი 40 მილიარდი აშშ დოლარს შეადგენს. ფონდის ძირითადი დანიშნულებაა აბრეშუმის გზის პროექტის მონაწილე ქვეყნებში მსხვილი საინვესტიციო პროექტების გახორციელების ხელშეწყობა, ჩინური კომპანიების წახალისების გზით.

ამ ინიციატივას საქართველო შეუერთდა 2015 წლის 9 მარტს, როდესაც ხელი მოეწერა მემორანდუმს ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის განვითარების თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული შეთანხმებით გზა გაეხსნა ახალი ტიპის თანამშრომლობას საქართველოსა და ჩინეთს შორის ვაჭრობის ოპტიმაზიციის, ინფრასტრუქტურის განვითარების კოოპერაციის ხელშეწყობის და საინვესტიციო თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით. აგრეთვე, დაიწყო ფრენები პეკინიდან თბილისის მიმართულებით (ქ. ურუმჩიში ტრანზიტით) და გაიხსნა პირდაპირი სატვირთო სარკინიგზო ხაზი. 2019 წლის ნოემბერში საქართველოს გავლით ევროკავშირის მიმართულებით მიმავალმა ჩინურმა მატარებელმა, ჩინეთის ქალაქ სიანიდან პირველად გაიარა გვირაბი ბოსფორის სრუტეში და ქ. პრაღაში ჩავიდა. მატარებელმა 12 დღის განმავლობაში 10 ქვეყანა და 11 500 კილომეტრი გაიარა, 21 ვაგონის შემადგენლობით, რომლის სიგრძე 820 მეტრს შეადგენდა. ამ ფაქტით საქართველომ დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა ჩინეთ-ევროკავშირის დამაკავშირებელ სარკინიგზო გადაზიდვებში.

საქართველო გახდა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დამფუძნებელი წევრი ქვეყანა. დღეისთვის, 30-მდე ჩინური კომპანია თანამშრომლობს ქართულ მხარესთან ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, ფინანსების, სოფლის მეურნეობის, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების, ლოჯისტიკის, ტელეკომუნიკაციებისა და სხვა სფეროებში.

ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა

„ერთი სარტყელი ერთი გზა" (One Belt One Road) არის 2013 წელს, ჩინეთის პრეზიდენტის, სი ძინპინის მიერ წამოყენებული გლობალური ინიციატივა, რომელიც „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელისა" და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის" შემოკლებული სახელწოდება. მისი მიზანია პროექტში ჩართულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. აღნიშნული პროექტის მასშტაბები სცდება აზიის კონტინენტს და პრაქტიკულად მთელს მსოფლიოს მოიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ფარგლებში კავკასიაზე გამავალი კორიდორი მკაფიოდ არ არის გამოხატული, „ერთი სარტყელი ერთი გზა" არის შესაძლებლობა ქვეყნისათვის, რომ განავითაროს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ინფრასტრუქტურა, რათა მაქსიმალურად შეძლოს ჩართვა გლობალურ პროექტებში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია საქართველომ პარტნიორ ქვეყნებთან ერთად შეიმუშაოს რეგიონული სატარიფო პოლიტიკა, მოახდინოს რეგულაციებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია დერეფნის სხვა წევრებთან, რაც ერთიორად გაამარტივებს ოპერაციების მართვას და ქვეყანას უფრო მიმზიდველ სატრანზიტო მარშრუტად წარმოაჩენს.

აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის ბიზნეს-გარემო და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები, რითაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველი რეგიონში არის ლიდერ პოზიციაზე. აღნიშნული პროექტი არის შესაძლებლობა, რომ საქართველო იქცეს არა მარტო სატრანზიტო მარშრუტად, არამედ სატრანზიტო ჰაბად და ჩამოყალიბდეს მიმზიდველ, საიმედო და სტაბილურ საინვესტიციო დანიშნულებად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ინფრასტრუქტურულ, ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ განვითარებას.

„ერთი სარტყელი ერთი გზის" პროექტი მასში ჩართულ ქვეყნებს ახალ შესაძლებლობებს და მასთან ერთად ახალ გამოწვევებსაც უხსნის. მნიშვნელოვანია საქართველომ სათავისოდ გამოიყენოს და მაქსიმალურად ინტეგრირდეს მიმდინარე თუ სამომავლო პროექტებში, რომელიც მის სტრატეგიულ პარტნიორებს არ გაანაწყენებს, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ჩინეთთან მჯიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობას საკმაოდ სკეპტიკურად განიხილავს.

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი (BELT AND ROAD FORUM)

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ტარდება და ყოველი ფორუმი სულ უფრო მასშტაბურია მონაწილე ქვეყნებითა და დელეგატებით. ფორუმის მთავარ მიზანს წარმოადგენს ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრების ორგანიზება: სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით; რომელიც წარმოქმნის შესაძლებლობას საქართველოში მოზიდულ იქნას მეტი უცხოური ინვესტიცია და განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა. პირველი ფორუმი ჩატარდა 2015 წლის 15-16 ოქტომებრს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თანა-ორგანიზებით.

2015 წლის თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს 34 ქვეყნის სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. შემდეგი ფორუმი გაიმართა 2017 წლის 28-29 ნოემბერს სადაც უკვე 54 ქვეყნის 2000-მდე დელეგატი მონაცილეობდა. უკანასკნელი ფორუმი კი 2019 წლის 22-23 ოქტომბერს გაიმართა, სადაც მონაწილე ქვეყნების რაოდენობა უკვე 60-მდე გაიზარდა, ხოლო დელეგატთა რაოდენობამ კი 2000-ს გადააჭარბა.

ჩინეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის მთლიანი შიგა პროდუქტის ოფიციალური მონაცემები ჯერ-ჯერობით არ არის ხელმისაწვდომი, ექსპერტული დაშვებით შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ის 18 მილიარდი აშშ დოლარის ტოლი იქნება და ამ დაშვების ფონზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩინეთის წილი ქართულ ეკონომიკაში - ტურიზმის, ექსპორტის, უცხოური ინვესტიციების და ფულადი გზავნილების კუთხით, ჯამურად 1.67%-ს არ აღემატება (იხ. დიაგრამა 1). რაც ერთი მხრივ არც თუ დიდ ეკონომიკურ კავშირებზე, ხოლო მეორე მხრივ კი უზარმაზარ პოტენციალზე მეტყველებს.

დიაფრამა 1. ჩინეთის ფაქტორი ქართულ მშპ-სთან, 2019 წელი



წყარო: დაანგარიშებულია ავტორების მიერ, საქართველოს მთავრობის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით

ქართულ-ჩინური საგარეო ვაჭრობა

ბოლო წლებში საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები სისტემატიურად მზარდია. 2018 წელს სავაჭრო ბრუნვამ პირველად მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ამასთან ერთად, მართალია მოცემულ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება 2017 წლიდან მოქმედებს, თუმცა ქართული კომპანიებისთვის ჩინურ ბაზარზე შეღწევა საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა (იხ. დიაგრამა 2), რაზეც ქართული ექსპორტის ზრდის დაბალი დინამიკა და პროდუქციის ნაკლებად დივერსიფიცირებულობა მეტყველებს

დიაგრამა 2. საქართველო ჩინეთის საგარეო ვაჭრობა (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ქართული ექსპორტი საკმაოდ კარგი ტემპით იზრდება, თუმცა ეს ზრდა არა იმდენად ჩინეთზე მოდის, რამდენადაც ევროკავშირზე, სადაც ქართული პროდუქცია სულ უფრო აქტიურად იკიდებს ფეხს. უკანასკნელი მონაცემებით ქართული ექსპორტში 22% ევროკავშირს უჭრავს. მას მოსდევს აზერბაიჯანის ბაზარი 15-%-ით, რუსეთი - 13%, სომხეთი - 8%, თურქეთი - 7% და შემდეგ უკვე ჩინეთი - 6% (წლების მიხედვით იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. საქართველო - ჩინეთის საგარეო ვაჭრობა



წყარო: საქსტატი

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საქართველოდან ჯამური ექსპორტი ბოლო წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთთან საქართველოს აქვს გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, ვერ ხერხდება არსებული შესაძლებლობის სათანადოდ გამოყენება. შესაბამისად, ზრდის ტენდეციით უფრო მეტად გამოირჩევიან ისეთი ტრადიციული ბაზრები როგირაა ევროკავშირი (რომელთანაც აგრეთვე არსებობს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ), ან თუნდაც რუსეთი (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 5. ექსპორტი ჩინეთში, ევროკავშირსა და რუსეთში, 2017-2019 წელი (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

2019 წლის I-III კვარტლის მონაცემებით (ხელმწისაწვდომი უახლესი მონაცემებით) ქართული ექსპორტის სტრუქტურა არადივერსიფიცირებულია და სპილინძის მადნებსა და ღვინოზე მოდის ვაჭრობის 83%. რაც ქართული ექსპორტის მდგრადობას უქმნის საფრთხეს (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6. ქართული ექსპორტი ჩინურ ბაზარზე, 2019 წლის I-III კვარტალი



წყარო: საქსტატი, სპეციალური დაკვეთით

ექსპორტისაგან განსხვაებით საქართველოში ჩინეთიდან შემოსული იმპორტი მნიშნელოვნად არის დივერსიფიცირებული. ყველაზე მსხვილი პროდუქტის წილი მთლიან იმპორტში 3%-ს არ აღემატება, მაგალითად კონდიციორენები, რეზინის საბურატები და სხვა (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7. ქართული იმპორტი ჩინეთიდან, 2019 წლის I-III კვარტალი



წყარო: საქსტატი, სპეციალური დაკვეთით

ექსპორტის თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებზე 2018 და 2019 წლების შედარებისას ვნახავთ, რომ ძირითადად ყველა მიმართულებით ზრდაა დაფიქსირებული. მათ შორის ჩინეთის მიმართულებითაც - 13%-ით. კლების ტენდენციაა: თურქეთის (- 13%) და აზერბაიჯანის (- 1%) მიმართულებით (ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოს ექსპორტის დინამიკა მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზრებზე (ათასი აშშ დოლარი)

	2018 წელი		2019 წელი	
	$ მლნ	ცვლილება წინა წელთან	$ მლნ	ცვლილება წინა წელთან
ჩინეთი	198	2%	228	13%
ევროკავშირი	731	12%	826	13%
რუსეთი	437	10%	497	14%
აზერბაიჯანი	502	85%	499	-1%
სომხეთი	279	25%	412	32%
თურქეთი	233	7%	202	-13%
უკრაინა	175	29%	245	29%

წყარო: საქსტატი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ჩინური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში პირველად 2002 წელს გამოჩნდა 2.5 მლნ აშშ დოლარით, რომელიც პერიოდულად გამოირჩეოდა მერყეობით, თუმცა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2014 წელს მიაღწია 220 მლნ აშშ დოლარს და მისმა წილმა მთლიანი ინვესტიციების 12% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 იყო საქართველოს ისტორიაში რეკორდული წელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის - 1.83 მლრდ აშშ დოლარის შემოდინებით (იხ. დიაგრამა 8). ღეისთვის, ჩინური ინვესტიციების ჯამური მოცულობა საქართველოში 679 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

დიაგრამა 8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ჩინეთის წილი



წყარო: საქსტატი

2019 წელს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებმა შეადგინა 909 მლნ აშშ დოლარი. სადაც, ჩინურ ინვესტიციებს უკავია 4%. პირველ ადგილს კი, იკავებს ევროკავშირიდან მოზიდული ჯამური ინვესტიციები 43%-ით. მას მოსდევს თურქეთიდან მოზიდული ინვესტიციები 17%-ით, ირლანდიიდან მოზიდული ინვესტიციებმა შეადგენა 15%, (რაც ძრითადად ერთ გარიგებაზე მოდის), ხოლო გაერთიანებული სამეფოდან მოზიდულმა ინვესტიციებმა შეადგინა 13% (იხ დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება 2019 წელი (I-III კვარტალი).



წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ ჩინური კომპანიები ქართული ბაზრით ძირითადად ადგილობრივი ბაზრის ათვისებისთვის არიან დაინტერესებულნი და მათი წილი მთლიან ექსპორტში ცალკეული წლების მიხედვით 1 პროცენტს არ აღემატებოდა, მაშინ როდესაც ჯამურად ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კომპანიებზე მთლიანი ქართული ექსპორტის ნახევარზე მეტი მოდის, ცალკეულ წლებში კი ეს მაჩვენებელი 60-პროცენტსაც აღემატებოდა (იხ დიაგრამა 10).

დიაგრამა 10. ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიების წილი ქართულ ექსპორტში



** 2019 წლის იანვარ-ოქტომბერი*

წყარო: სპეციალური დაკვეთით საქსტატი

ბოლო პერიოდის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ჩინური ინვესტიციებისათვის საინტერესო სექტორებს წარმოადგენენ: მშენებლობა, უძრავი ქონება და საფინანსო სექტორი. დანარჩენ სექტორებში კი ძირითადად მცირე მასშტაბებით არის წარმოდგენილი ჩინური კაპიტალი, ზოგ შემთხვევაში კი, პირიქით მცირდება (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. ჩინეთიდან განხორციელებული ინვესტიციები სექტორების მიხედვით (მილიონი აშშ დოლარი)

	2017	2018	2018/III	2019/III
	19.36	75.74	67.54	35.55
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	-0.01	-0.02	-0.02	0.22
სამთომომპოვებელი მრეწველობა	0.48	-1.22	-0.7	-0.06
დამამუშავებელი მრეწველობა	2.67	1.42	1.46	1.86
ენერგეტიკა	2.72	-4.27	-2.74	2.01
მშენებლობა	-1.4	44.66	39.65	28.57
სასტუმრო და რესტორნები	0.03	0.11	0.08	0.09
ტრანსპორტი	0.12	-0.09	0.2	0.77
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	-0.001	-	-	-0.0001
უძრავი ქონება	0.96	20.58	20.71	1.36
საფინანსო სექტორი	12.96	13.06	8.13	-0.43
დანარჩენი სექტორი	0.85	1.5	1.17	1.16

წყარო: საქსტატი სპეციალური დაკვეთით

ფულადი გზავნილები

ქართული ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული ფულად გზავნილებზე, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებიდან ემიგრაციული ხაზით ირიცხება საბანკო ანგარიშებზე. თუმცა, ჩინეთის ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. მთლიანი გზავნილების 0.2% (იხ. დიაგრამა 11). რაც ძირითადად განაპირობებს ჩინეთში ქართული დიასპორის არ არსებობით.

დიაგრამა 11. ფულადი გზავნილები ჩინეთიდან საქართველოში



წყარო: საქსტატი

ქართული ღვინის ექსპორტი ჩინეთში

საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი და მნიშვნელოვანი საექპორტო პროდუქტი - ღვინო, ბოლო წლებში მაღალი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2018 წელს საქართველოდან ექსპორტზე მსოფლიოს 53 ქვეყანაში 86.2 მილიონი ბოთლი ღვინო გავიდა, საიდანაც ქვეყანამ 203 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო და მსოფლიოს ღვინის ექპორტიორი ქვეყნების რეიტინგში მე-17 ადგილი დაიკავა. 2019 წლის მონაცემებით ექსპორტირებულია 94 მილიონი ბოთლი ღვინო, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 9%-ით აღემატება და საიდანაც ქვეყანამ ისტორიულად ყველაზე მაღალი შემოსავალი $240 მილიონი მიიღო, რაც ასევე წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 17%-ით მეტია.

ტრადიციული ბაზრებისგან განსხვავებით ჩინეთი ქართული ღვინისთვის შედარებით ახალი ბაზარია, თუმცა მზარდი ტენდენციებით ხასიათდება. 2019 წლის მონაცემებით ექსპორტიორი ქვეყნების ათეულშია ჩინეთიც - 7 089 259 ბოთლით და ის საპატიო მესამე ადგილს იკავებს, რუსეთის და უკრაინის შემდეგ.

თავისუფალ სავაჭრო შეთანხმებასთან ერთად ჩინეთის ბაზარზე გააქტიურდა ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანიები, გამოფენები, ფესტივალები, კვირეულები და სხვა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნისა და მისი 8000-წლოვანი ღვინის ტრადიციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ბოლო რამდენიმე წელია ჩინეთის სხვადასხვა პროვინციის ქალაქებში იმართება ღონისძიებათა ციკლი, რომელიც ერთად-ერთ მიზანს - ქართული ღვინის გაცნობას ემსახურება. ხშირია ჩინელი ღვინის იმპორტიორების გაცნობითი ტურები საქართველოში, სადაც ადგილზე ეცნობიან ჯიშებს, დაყენების ტექნოლოგიებს, ხვდებიან ადგილობრივ მწარმოებლებს, აწარმოებენ მოლაპარაკებებს და სახავენ სამომავლო გეგმებს, რასაც რეალურად აქვს ხელშესახები შედეგები. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც. კერძოდ, ბოლო 6 წელიწადში ქართული ღვინის ექსპორტი ჩინეთში 8-ჯერაა გაზრდილი, ხოლო ბოლო 4 წელიწადში ჩინურ ბაზარზე

ქართულმა ღვინომ მე- 18- დან მე- 9 ადგილზე გადაინაცვლა. თანდათან პოპულარობას იძენს ქვევრის ღვინოც. როგორც კვლევებმა აჩვენა, ჩინურ ბაზარზე განსაკუთებული მოთხოვნაა წითელ მშრალ ღვინოზე, სადაც მას ძირითადად, საშუალო და პრემიუმ სეგმენტი უჭირავს.

2013- 2017 წლებში ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტი რეკორდული სისწრაფით იზრდებოდა და პიკს მიაღწია 2017 წელს როცა ექსპორტირებულმა ბოთლების რაოდენობამ თითქმის 8 მილიონი შეადგინა. ამის შემდეგ 8%- იანი ვარდნა დაფიქსირდა 2018 წელს, ხოლო 2019 წელს დაახლოებით 1.5%- იანი ზრდა (იხ დიაგრამა 12). ცნობისთვის, 2017 წელს ჩინურმა კომპანიებმა მოახდინეს მარაგების წინასწარი შევსება, რაშიც მათ ხელი შეუწყო ჩინეთის მთავრობის მიერ გზისა და სარტყელის ინიციატივის ფარგლებში გაცემულმა სუბსიდიებმა. თავისი როლი ითამაშა აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ძალაში შესვლამაც, რომლის დროსაც კომპანიებმა პროცესებზე დაკვირვება და მათი უკეთ შესწავლა ამჯობინეს. დღეის მდგომარეობით კი, ჩინური კომპანიები შესყიდვებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ახორციელებენ.

დიაგრამა 12. ქართული ღვინის ექსპორტი მსოფლიოსა და ჩინეთის ბაზარზე (ცალი ბოთლი)



წყარო: საქსტატი

ტურიზმი

2019 წელი ქართული ტურიზმისთვის ახალი ისტორიული მაქსიმუმით აღინიშნა - 9,35 მლნ საერთაშორისო ვიზიტორი. სწრაფი ტემპებით იზრდება, მათ შორის ჩინელი ვიზიტორების რიცხვიც საქართველოში, რასაც ხელი შეუწყო ჩინეთის მოქალაქეებისათვის საქართველოს ვიზის აღების გამარტივებულმა ონლაინ პროცედურებმა და ავია მიმოსვლის დანიშვნამ. შედეგად, 2019 წელს საქართველოს 48071 ჩინელი ვიზიტორი ეწვია, 51%-ით მეტი ვიდრე 2018 წელს (იხ. დიაგრამა 13).

გასათვალისწინებელია, რომ ჩინელი ვიზიტორები ყველაზე მხარჯველ ვიზიტორთა ათეულში მეშვიდე ადგილს იკავებენ, საშუალო ხარჯით 1 ვიზიტზე - 2253 ლარი. მარტივი გადაანგარიშებით დგინდება, რომ ჩინელი ვიზიტორების დანახარჯი საქართველოში 2019 წელს 108 მილიონ ლარს უდრიდა, რაც ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების 1.1%-ია.

დიაგრამა 13. ჩინეთიდან შემოსული საერთაშორისო ვიზიტორები 2014-2019



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გადაზიდვები

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს საქართველოსა და ჩინეთს შორის დიდი გაოგრაფიული დაშორებისა, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა აქტიურად ხორციელდება და მუდმივად ზრდის დინამიკა ახასიათებს (ცხრილი 3). საქართველოდან საავტომობილო ტრანსპორტით ექსპორტის რეჟიმში ჩინეთის მიმართულებით ძირითადად გადაიზიდება შემდეგი ტვირთები: 1) სპილენძის კონცენტრატი; 2) ღვინო; 3) სპილენძისა და თითბერის ჯართი; 4) თხილი და სხვ.

ცხრილი N3. საქართველოსა და ჩინეთს შორის საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთები (ათასი ტონა)

რეჟიმი	*2014*	*2015*	*2016*	*2017*	*2018*	*2017/9*	*2018/9*	*2019/9*
ექსპორტი (ნეტო)	**43,7**	**76,3**	**92,9**	**134,4**	**118,7**	**108,7**	**100,4**	**64,1**
ზრდა წინა წელთან	-	74,6%	21,9%	44,7%	-11,7%	-	-7,7%	-36,2%
იმპორტი (ნეტო)	**172,3**	**145,4**	**151,0**	**191,6**	**209,1**	**142,0**	**161,7**	**156,9**
ზრდა წინა წელთან	-	-15,6%	3,9%	26,9%	9,1%	-	13,9%	-3,0%
ტრანზიტი შემოსული (ბრუტო)	**114,2**	**66,4**	**56,4**	**80,4**	**103,4**	**58,9**	**69,2**	**142,7**
ზრდა წინა წელთან	-	-41,8%	-15,1%	42,5%	28,6%	-	17,6%	106,0%
ტრანზიტი გასული (ბრუტო)	**48,8**	**52,7**	**28,4**	**19,7**	**20,5**	**18,4**	**17,7**	**31,7**
ზრდა წინა წელთან	-	8,0%	-46,2%	-30,4%	3,9%	-	-3,4%	78,7%

წყარო: საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

მას შემდეგ რაც დაიწყო აქტიური მუშაობა აბრეშუმის გზის აღდგენის კუთხით, იმატა საქართველოს ჩინეთს შორის ტვირთბრუნვამ. მათ შორის ექსპორტიორების აბსულუტური უმრავლესობა იყენებს სარკინიგზო გადაზიდვებს. მთლიანობაში სარკინიგზო ტვირთზიდვა 2017 წელს გაიზარდა 27,8%- ით, 2018 წელს - 0,5%- ით, 2019 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით კი, 109%- ით (იხ. ცხრილი 4). თუმცა, ცალკეული მიმართულებების მიხედვით ხშირია მერყეობა ტვირთების გადაზიდვების მოცულობაში, რაც არასტაბილური ვაჭრობითა და ერთჯერადი მსხვილი შეკვეთებითაა განპირობებული.

ცხრილი 4. საქართველოსა და ჩინეთს შორის რკინიგზით გადაზიდული ტვირთები (ათასი ტონა)

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2017/9	2018/9	2019/9
ექსპორტი	**0,4**	**0,3**	**0,6**	**0,1**	**0,4**	**3,2**	**0,3**	**3,2**	**0,3**
ზრდა წინა წელთან შედარებით	-67,2%	-30,9%	106,9%	-86,3%	356,1%	758,0%	-	878,4%	-91,3%
იმპორტი	**32,0**	**54,5**	**33,1**	**38,3**	**25,2**	**33,1**	**16,8**	**27,8**	**27,2**
ზრდა წინა წელთან შედარებით	-52,8%	70,3%	-39,4%	15,8%	-34,1%	31,2%	-	65,9%	-2,2%
ტრანზიტი შემოსული	**238,0**	**239,5**	**160,0**	**122,2**	**149,7**	**189,7**	**103,6**	**144,1**	**211,7**
ზრდა წინა წელთან შედარებით	24,5%	0,6%	-33,2%	-23,6%	22,5%	26,7%	-	39,1%	46,9%
ტრანზიტი გასული	**67,3**	**87,0**	**53,6**	**52,4**	**96,9**	**47,5**	**53,0**	**28,5**	**186,3**
ზრდა წინა წელთან შედარებით	-48,2%	29,3%	-38,4%	-2,2%	84,9%	-50,9%	-	-46,3%	554,6%
სულ ტვირთზიდვა	337,8	381,3	247,3	213,0	272,2	273,5	173,7	203,6	425,5
ზრდა წინა წელთან შედარებით	-13,5%	12,9%	-35,1%	-13,9%	27,8%	0,5%	-	17,2%	109,0%

წყარო: საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

სამოქალაქო ავიაცია

სამოქალაქო ავიაციის კუთხით, ჩინეთიდან და საქართველოს მიმართულებით ავია რეისებს მხოლოდ ერთი კომპანია „China Southern Airlines" ასრულებს. საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 2019 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში პირდაპირი რეგულარული რეისების შედეგად გადაყვანილმა მგზავრების რაოდენობამ შეადგინა 34 318 ერთეული მგზავრი, რაც 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35.7%-ით მეტია (25,282 ერთეული მგზავრი). რაც შეეხება სრულ 2018 წელს, აღნიშნულ პერიოდში გადაყვანილმა მგზავრების რაოდენობამ შეადგინა 32,730 ერთეული რაც 2017 წელთან შედარებით 53.0%-ით მეტია (21,393 ერთეული მგზავრი). აღსანიშნავია, რომ ჩინელი ვიზიტორების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ მოცემული ავია კომპანიით შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე (იხ.ცხრილი N 5).

ცხრილი 5. საქართველო-ჩინეთის საჰაერო მგზავრნაკადი

წელი	2014	2015	2016	2017	2018	2017/9	2018/9	2019/9
მგზავრთა რაოდენობა	14759	15685	15878	21393	32730	15448	25285	34318
ზრდა წინა წელთან შედარებით	-	6%	1%	35%	53%	-	64%	36%

წყარო: საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

ინდუსტრიული თანამშრომლობა

2019 წლის მდგომარეობით საქართველოში დარეგისტრირებულია და აქტიური სტატუსით სარგებლობს ჩინური კაპიტალით შექმნილი დაახლოებით 200 კომპანია. რომელთაგან ყველაზე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს:

- **„ჰუალინგ ჯგუფი“,** რომელიც წარმოდგენილია უძრავი ქონების, ტურიზმის (კომპანია MyWay Airlines – 100%) და საფინანსო სექტორებში (ბაზის ბანკის 95%).

- „**Eastern Energy Corporation“,** 2004 წლიდან ოპერირებს საქართველოში ენერგეტიკის სფეროში. იგი ფლობს ხადორიჰესს, რომელიც საქართველოში პირველი აშენდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

- **შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანი“,** რომელსაც რუსთავის სიახლოვეს გააჩნია სამშნებელო არმატურის საწარმო.

ამასთან, მნიშვნელოვანიამჩინური კომპანიის China Nuclear Industry 23 Construction Co., LTD-ს მონაწილეობა საქართველოში პირველი ქარის ელექტროსადგურის პროექტის განვითარებაში. რომელიც 2016 წლის დეკემბერში წარმატებით შევიდა ექსპლოატაციაში და მისი დადგმული სიმძლავრე შეადგენს 20.7 მგვტ-ს.

2020 წლის იანვარში წარმატებით გაიხსნა კიდევ ერთი პროექტი გარდაბნის 2 თბოელექტროსადგური ჩინური კომპანიის China Tianchen Engineering Corporation (TCC)-ს მონაწილეობით, რომლის დადგმული სიმძლავრეც 230 მგვტ-ს შეადგენს.

როგორც, არსებული სიტუაციური ანალიზი გვიჩვენებს ჩინური კაპიტალი დაინტერესებულია ფართოდ დაიმკვიდროს ადგილი საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში. პრაქტიკულად ყველა მსხვილ სფეროში ცდილობენ გარკვეული სახის პოზიციების დამკვიდრებას. ბოლო პერიოდში ჩინური კაპიტალი შევიდა ფოთის, ქუთაისის და თბილისის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური ინვესტიციების ერთ-ერთი ხელშესახები და უმნიშვნელოვანესი პროექტი არის ელექტრომობილების ქარხანა, რომელიც ქალაქ ქუთაისში აშენდება და რომლის დამთავრებაც 2020 წლის აგვისტოში იგეგმება. პროექტს ჩინური კომპანია „ჩანგანი" განახორციელებს, რომელიც ელექტრომობილების წარმოების სფეროში არის მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი კომპანია და თანამშრომლობს ისეთ გიგანტ მწარმოებლებთან, როგორებიც არიან - „ფოლკსვაგენი", „ვოლვო" და „ფორდი". კომპანიის ცნობით, აღნიშნული მაღალტექნოლოგიური საწარმო წელიწადში 4 სახის მოდელისა და 40 000 ელექტრომობილი წარმოებას შეძლებს, რომლის 50% უცხოური ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი, წარწერით Made in Georgia. აღნიშნული პროექტი არის კარგი შესაძლებლობა თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების ფარგლებში მსოფლიოს წამყვან ბაზრებზე დაიმკვიდროს პოზიციები, რაც ხელს უწყობს საქართველოს განავითაროს ინდუსტრიული წარმოება, ახალი ტექნოლოგიები და დასაქმება.

მასშტაბით შედარებით მცირე, თუმცა მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ქართულ-ჩინური თანამშრომლობა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში. კერძოდ, ჩინეთის მთავრობამ გრანტის სახით უკვე გამოყო დაფინანსება დაახლოებითი 7.2 მლნ აშშ დოლარის მოცულობით. აღნიშნული პროექტი გულისხმობს სამეცნიერო ტექნოპარკის მშენებლობას ქ. თბილისში, რომლებიც ინოვაციებისა და პროტოტიპირებისათვის საჭირო დანადგარებით აღიჭურვება.

აქვე აუცილებელია ითქვას რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტზეც, რომელებიც დაანონსდა მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო დღემდე ვერ განხორციელდა და რომლებსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მოხდენა შეუძლია საქართველოში კერძოდ, ესენია:

- ✓ 2018 წლიდან დაანონსდა 1 მილიარდიანი კაპიტალის მქონე საქართველოს განვითარების ბანკის შექმნა კორპორაცია "CEFC China Energy Company Limited"-სა და კომპანია „Eurasian Invest LLC"-ის მიერ. ეს ბანკი სტრატეგიული თვალსაზრისით იქნება ჩინელი ინვესტორების მოზიდვის ახალი მაგნიტი საქართველოში;
- ✓ საქართველოში ჩაის მრეწველობის განვითარება;

- ✓ საქართველოს განახლების ქართულ-ჩინური ფონდის (Georgian-Chinese Fund for the Regeneration of Georgia) შექმნა, რომელიც საქართველოს საპარტნიორო ფონდის და ჩინური CFC-ს მხარდაჭერით განხორციელდება და თავისი 50 მილიონიანი ბიუჯეტის ფარგლებში (თანხის 51% ჩინური, ხოლო 41% კი ქართული კონტრიბუცია იქნება) ქართული სტარტაპების დაფინანსებას განახორციელებს ;
- ✓ "აბრეშუმის გზის ერთიანი საბაზრო ზონის" ("Silk Road Common Market Zone") შექმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციური ვაჭრობის მოდელის განვითარებას (develop an innovative trade model).

ამასთან, ცალსახაა, რომ ჩინეთის მხრიდან საკმაოდ დიდია ანაკლიის პორტით დაინტერესება, რაც დადასტურდა მშნებელობის კონკურსში მათი მონაწილეობით და შემდგომში ჩართულობის სურვილმა. თუმცა მეორე მხრივ რამაც ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია ჩინური კომპანიების გამოცდილება ან/და მათი საჭიროება ისეთ სფეროებში, როგორიცაა:

- ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი (BPO);
- მშენებლობა და უძრავი ქონება;
- საზღვაო ინდუსტრია;
- ტრადიციული და განახლებადი ენერგეტიკა (მათ შორის, მზისა და ქარის ენერგია) და სხვა.
- ტურიზმი;
- მსუბუქი და მძიმე მრეწველობა;
- ლოჯისტიკური ცენტრები;

კორონავირუსის გავლენა ჩინეთის და მსოფლიო ეკონომიკაზე

მოსალოდნელია, რომ მოკლევადიან პერიოდში კორონავირუსი გარკვეული ზიანს მიაყენებს ჩინეთის ეკონომიკურ ზრდას და შესაბამისად შეანელებს მსოფლიო ეკონომიკურ ზრდასაც. ზიანი გამოწვეული იქნება შემდეგი არხებით: ტურიზმი, ავიაცია, საცალო ვაჭრობა და გართობის ინდუსტრია. თუ ვირუსთან ბრძოლამ უახლოეს მომავალში არ მოიტანა სასურველი შედეგი, შესაძლოა ჩინეთის ეკონომიკა უფრო მძიმე დარტყმის წინაშე აღმოჩნდეს.

კორონავირუსმა პრობლემები შექმნა არამხოლოდ სუფთა ეკონომიკურ, არამდ ჰუმანიტარული თვალსაზრისითაც, დაკეტილია საჯარო დაწესებულები, სუსრათის მაღაზიები მუშაობენ გრაფიკით, ვირუსის გამო გაუქმდა 7 ჩინური ფილმის პრემიერა, 400-ზე მეტი პოპულარუი სარესტორნო ქსელის ფილიალები, დროებით დაიხურა ისეთი ცნობილი დასავლური კომპანიების წარმომადგენლობები, როგორიცაა სტარბაქსი, დისნეილენდი და მრავალი სხვა.

კორონავირუსის მიერ გლობალური ეკონომიკისთვის მიყენებულ მოსალოდნელ ზიანზე პარალელის გავლება ხდება 2003 წლის ვირუსთან (რესპირატორული სინდრომი - SARS), რომელმაც გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის 0,1% იმსხვერპლა. თუმცა, მოსალოდნელია რომ, კორონავისურის შედეგად მიღებული ზიანი გაცილებით დიდი იქნება მსოფლიო ეკონომიკისთვის, რადგან 2003 წელს ჩინეთის ეკონომიკა შედარებით მცირე წილით იყო წარმოდგენილი მსოფლიო ეკონომიკაში.

იზარალეს ჩინეთის წამყვანმა საფონდო ბირჟებმაც, რომელთა ჯამური კაპიტალიზაცია 6 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა, რაც ჩინეთის მშპ-ს (14.3 ტრილიონი აშშ დოლარი) 43%-ს შეადგენდა. კორონავირუსის გავრცელების შედეგად 2 წამყვანი ბირჟის ინდექსები - Shanghai Composite-ის და Shenzhen Component-ის - დაახლოებით 10 პროცენტით დაეცა.

არსებობს დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომ ჩინეთის მთავრობა გავრცელებული ეპიდემიის შედეგებს განზრახ მალავს და ის გაცილებით უფრო მასშტაბური და სავალალოა, ვიდრე ამის შესახებ მსოფლიომ იცის. ეს დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ჩინეთს არ სურს უცხოელმა უნვესტორებმა პანიკურ ფონზე თავიანთი კაპიტალის გატანა დაიწყონ, რაც მნიშვნელოვნი ზიანის მომტანი იქნება ჩინეთის ეკონომიკისათვის. მაგალითად: ინვესტორი, რომელსაც ჩინური კომპანიის ფასიან ქაღალდებში აქვს დაბანდებული პირობითად მილიონი დოლარი, ჩინურ საფონდო ბირჟაზე აქციის შესაძენად დოლარს ახურდავებ იუანში და ყიდულობ შესაბამის აქციებს. თუ ინვესტორი ჩათვლის, რომ მის ინვესტიციას საფრთხე ემუქრება, ის გაყიდის იუანში მის აქციას, გადაახურდავებს დოლარში და გაიტანს ქვეყნიდან.

კორონავირუსის შედეგად შესაძლოა გარკვეული გამოწვევების წინაშე დადგეს ქართული ეკონომიკაც, თუმცა ზემოთ მოცემული ქართულ-ჩინური ეკონომიკური თანამშრომლობის ანალიზი არ იძლევა საგანგაშო სიგნალს, რადგანაც ვაჭრობის გარდა სხვა ეკონომიკური მიმართულებებით მასშტაბები შედარებით უმნიშვნელოა. კერძოდ:

- ავია მიმოსვლის აკრძალვის დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნებამ შესაძლოა ათასობით ვიზიტორი დაკლოს ქართულ ტურისტულ ინდუსტრიას. ცნობისთვის, 2019 წელს საქართველოში 48 ათასზე მეტი ჩინელი ვიზიტორი ჩამოვიდა.
- შესაძლოა ჩინეთიდან იმპორტის შეზღუდვის საჭიროებამ, ქართველ მომხმარებლებს გაუძვიროს იაფ ჩინურ პროდუქციასა და ნედლეულზე წვდომა და მისი ჩანაცვლება;
- ექსპორტის სტრუქტურის გათვალისწინებით საქართველოს დამატებითი პრობლემები არ უნდა შეექმნას ჩინეთში ექსპორტის ან მისი დივერსიფიცირების თვალსაზრისით;
- ჩინური უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქართული ეკონომიკის განვითარებაში, თუმცა მათი წილი მთლიან ინვესტიციებში ბოლო 5 წლის განმავლობაში, მათზე მნიშვნელოვან დამოკიდებულებას არ ავლენს;
- შესაძლებელია შეფერხება მოჰყვეს ჩინური კომპანიების მიერ გამარჯვებული, ძირითადად ინფრასტრუქტურული ტენდერების შესრულებას;

დასკვნა და რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდბლობის მოპოვებისთანავე დაიწყო, მჯიდრო ეკონომიკურმა თანამშრომლობა მხოლოდ ბოლო 5 წლის განმავლობაში დამყარდა და საკმაოდ პოზიტიური დინამიკითაც ხასიათდება.

მიუხედავად ინტენსიური ურთიერთობების დამყარებისა ჩინეთიდან შემოსული ფულადი ნაკადები არც თუ ისე დიდია. მათ შორის ჩინელი ტურისტების ნაკადებს, არც ფულად გზავნილებს, არც ინვესტიციებს არ შეაქვთ მნიშნელოვანი წილი მთლიან მაჩვენებლებში. ერთდაერთი, რომელიც შედარებით ზრდის ტემპით ხასითადება არის საქართველო-ჩინეთის საგარეო ვაჭრობა. სხვა მსხვილ პარტნიორებთნ შედარებით საქართველოს ეკონომიკას ჩინეთთან არ გააჩნია მიჯაჭვულობა, რაც ჩინეთში შესაძლო კრიზისის შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვნად ვერ შეაფერხებს.

ცალსახაა, ის შესაძლებლობები, რასაც იძლევა ჩინეთის ეკონომიკა, რომელსაც საქართველო სათანადოდ ვერ ითვისებს. რასაც გააჩნია გარკვეული ობიექტური ფაქტორებიც, რადგან ჩინეთის ბაზარისთვის ქართული პროდუქცია არის უცხო, სადაც შეღწევადობა რთული, ძვირი და ხანგრძლივი პროცესია.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი რეკომენდაციები:

- ეკონომიკური თანამშრომლობის გრძელვადიანი გეგმის, მათ შორის დარგობრივი სამოქმედო და სტრატეგიული პროგრამების შემუშავება ჩინეთის ბაზარზე ქართული საქონლისა და მომსახურების მასშტაბური შეღწევის კუთხით;
- ქართული პროდუქციის (ღვინის გარდა ან ღვინოსთან ერთად სხვა პროდუქციის) პოპულარიზაციისათვის გამოყენებულ იქნეს ჩინეთის სხვადასხვა პლატფორმები (გამოფენები, კონფერენციები, ფორუმები და სხვა);
- განახლებადი ენერგეტიკის კუთხით გაზიარებულ იქნეს ჩინური გამოცდილება, ძირითადად მზის და ქარის ენერგიის ათვისების მიმართულებით;
- ექსპორტზე ორიენტირებული (მათ შორის ევროკავშირში) ჩინური და ერთობლივი ინვესტიციების მოზიდვა, მათ შორის: მსუბუქი მრეწველობის, საზღვაო ეკონომიკის, სოფლისმეურნეობის და სხვა მიმართულებებით;
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დარგში თანამშრომლობა, მათ შორის ტექნოპარკების მოდერნიზების და სტარტაპების ერთობლივი ხელშეწყობის კუთხით;
- საქართველოს გლობალურ ეკონომიკურ მოთამაშეებთან (ჩინეთთან და ევროკავშირთან) თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების მაქსიმალური პოპულარიზება, ინვესტიციების სხვადასხვა ქვეყნებიდან მოზიდვისათვის;
- ჩინეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურების პარალელურად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან აქტიური კომუნიკაცია, ასეთი ტიპის თანამშრომლობის საჭიროების და დასავლეთისთვის საფრთხეების არ არსებობის დასაბუთების მიზნით.